



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

თარიღი: 03 დეკემბერი, 2021

სხდომის დაწყების დრო: 21:00 საათი

ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ 11.

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე, ნათია კორკოტაძე, ციციხო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი და მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

წევრები გაეცნენ

ა) მანანა მითაიშვილის, მარიამ გაფრინდაშვილის და რამაზ აიწურაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მანანა მითაიშვილის, მარიამ გაფრინდაშვილის და რამაზ აიწურაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

ბ) ბაკურ ჩიქოვანის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მ/წლის 25 ნოემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ბაკურ ჩიქოვანის განცხადება გამონაკლისის სახით დაკმაყოფილდა და მას პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის დარჩენილი საფასურის (600 ლარი) გადახდა გადაუვადდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის გაწევრიანების შესახებ განაცხადით მომართვამდე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ბაკურ ჩიქოვანს განემარტა, გაწევრიანების შესახებ განაცხადის წარმოდგენის დროს მას არ ჰქონდა გადახდილი ზემოთაღნიშნული დავალიანება და ასევე, განაცხადს არ ერთვოდა გაწევრიანების წლის საწევროს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

წევრებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის განხილვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით არ რეგულირდება, აღმასრულებელი საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ინდივიდუალურ განცხადებას განიხილავს ერთიანი სტანდარტით და მაქსიმალურად ითვალისწინებს განცხადებაში მითითებულ გარემოებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა განმცხადებლის მიმართ თანაბრად სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.

მ/წლის 25 ნოემბერს აღმასრულებელმა საბჭომ აღნიშნული მიდგომით იმსჯელა ბაკურ ჩიქოვანის განცხადების ირგვლივ, გაითვალისწინა განცხადებაში მითითებული გარემოება და გამონაკლისის სახით მისი განცხადება დააკმაყოფილა.

წევრებმა განაცხადეს, რომ გარდა იმისა, რომ ბაკურ ჩიქოვანის მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული მის მიმართ აღმასრულებელი საბჭოს მიერ მ/წლის 25 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება, ასევე, მისი განცხადება გაწევრიანების შესახებ არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ბაკურ ჩიქოვანის განცხადების განხილვა გაწევრიანების შესახებ მოიხსნას დღის წესრიგიდან და მისი განხილვა გადაიდოს მის მიერ შემდგომ საბჭოს სხდომაზე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ბაკურ ჩიქოვანის განცხადების განხილვა გაწევრიანების შესახებ მოიხსნას დღის წესრიგიდან და მისი განხილვა გადაიდოს შემდგომ საბჭოს სხდომამდე.

განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ნაზიბროლა კუპატაძის განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნაზიბროლა კუპატაძის მიერ წარმოდგენილი განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად შოთა იაგანაშვილის, ნანა ჩხაპელიას და ტარას გაგნიძის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს შოთა იაგანაშვილის, ნანა ჩხაპელიას და ტარას გაგნიძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. დავით ჯაფარიძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ დავით ჯაფარიძის 2021 წლის 03 დეკემბრის განცხადებას ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატურის მოხსნის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ასოციაციის წესდების 13.¹ მუხლის, 13.¹⁵ პუნქტის თანახმად, პირს უფლება აქვს მოხსნას საკუთარი კანდიდატურა კენჭისყრის დაწყებამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის წესდების 13.¹ მუხლის, 13.¹⁵. პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს დავით ჯაფარიძის განცხადება ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატურის მოხსნის შესახებ და მისი კანდიდატურა ამოღებულ იქნას 04-11 დეკემბრის საერთო კრების საარჩევნო ბიულეტენიდან.

საკითხი 5. დავით ჯაფარიძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ დავით ჯაფარიძის 2021 წლის 03 დეკემბრის განცხადებას სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის უფლებამოსილებიდან გათავისუფლების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-10 მუხლის, 10.8 პუნქტის თანახმად, სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატს შეიძლება შეუწყდეს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის სტატუსი პირადი განცხადების საფუძველზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ დავით ჯაფარიძეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დაწყებიდან დღემდე, არ განუხორციელებია სტაჟირების ხელმძღვანელობა ამავე პროგრამის დებულებით დადგენილი წესით და შესაბამისად, მასთან ამჟამად არც ერთი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილე არ გადის სტაჟირებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.8 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს დავით ჯაფარიძის განცხადება სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 6. სხვადასხვა

(ა) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 4-11 დეკემბრის ასოციაციის საარჩევნო კრების ორგანიზება ასოციაციის აპარატს უწევს სრულიად ახალ ფორმატში - ნახევრად დისტანციურ რეჟიმში. საარჩევნო საერთო კრების ახალ ფორმატში წარმატებით ჩატარება კი დამოკიდებულია აპარატის მხრიდან აღნიშნული საორგანიზაციო პროცესის სრულყოფილად და სათანადოდ განხორციელებაზე, რისთვისაც მათი მხრიდან საჭიროა დამატებითი სამუშაო დრო და ადამიანური რესურსი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი და მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ პერიოდში თანამშრომელთა მხრიდან გაწეული ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურებულ იქნას შესაძლებლობის ფარგლებში. ამ მიზნით, მან მიმართა წევრებს 2021 წლის ასოციაციის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე - ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დანამატის მუხლის 5 000 (ხუთი ათასი) ლარით გაზრდის შესახებ.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის ბიუჯეტში შევიდეს ცვლილება და ხარჯვითი ნაწილის დანამატის მუხლი გაიზარდოს 5 000 (ხუთი ათასი) ლარით. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს ასოციაციის ფინანსურ მენეჯერს.

(ბ) აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების გაცნობა.

წევრებმა მოისმინეს აღმასრულებელი მდივნის - გიორგი ჭეხანის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმად საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ასოციაციის როგორც თბილისის, ასევე, ოთხივე რეგიონულ ოფისში ჩატარდა სრული ინვენტარიზაცია და აღწერილ იქნა ასოციაციის ბალანსზე არსებული საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინვენტარი. ასევე, გაკეთდა შეფასება გამოსაყენებლად ვარგისი ინვენტარის ცალკე გამიჯვნის მიზნით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათი მხრიდან დამატებითი შეკითხვები არ დასმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები მიღებულ იქნას ცნობად.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე